# პიროვნული ნიშნები და გადაწყვეტილების მიღების სტილები, როგორც სარისკო ქცევების პრედიქტორები მოზარდებში

მარიამ ზირაქაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

# განაცხადი

ვადასტურებ, რომ წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი არის ჩემი ორიგინალურად შექმნილი აკადემიური ნამუშევარი. მასში არ არის გამოყენებული სხვა ავტორების მიერ ადრე გამოქვეყნებული, გამოქვეყნებისთვის წარმოდგენილი ან დაცული მასალები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მკაფიოდ არის მითითებული და ციტირებული აკადემიური სტილის შესაბამისი სტანდარტების დაცვით.

19.06.2025

# აბსტრაქტი

სარისკო ქცევებზე გავლენას მრავალი ინდივიდუალური და გარემო ფაქტორი ახდენს. ბოლო წლებში სულ უფრო მეტი კვლევა ემყარება იმ ჰიპოთეზას, რომ პიროვნული ნიშნები და გადაწყვეტილების მიღების სტილები შეიძლება წარმოადგენდეს სარისკო ქცევების მნიშვნელოვან პრედიქტორებს. მოცემულ ნაშრომში განხილულია, როგორ პროგნოზირებენ სარისკო ქცევებს მოზარდებში პიროვნული ნიშნები (დიდი ხუთეული) და გადაწყვეტილების მიღების სტილები (რაციონალური, ინტუიციური, დამოკიდებული, აცილების და სპონტანური). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 120-მა, 13-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდმა. შეფასებისთვის გამოყენებული იყო პიროვნების, გადაწყვეტილების მიღების და სარისკო ქცევის სტანდარტიზებული კითხვარები. მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა კორელაციური და რეგრესიული ანალიზი. შედეგებმა აჩვენა, რომ სარისკო ქცევის სანდო პრედიქტორად გამოვლინდა თანმხობისადმი მზაობა — რაც უფრო მაღალია ეს პიროვნული ნიშანი, მით ნაკლებია სარისკო ქცევის გამოვლენის ალბათობა მოზარდებში. ასევე აღმოჩნდა, რომ დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღების სტილი შედარებით სუსტი, მაგრამ სტატისტიკურად სანდო პრედიქტორია სარისკო ქცევის. სხვა ცვლადებთან სტატისტიკურად ძლიერი კავშირი არ გამოვლინდა. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია მოზარდებში სარისკო ქცევის პრევენციისთვის გათვლილი ფსიქოლოგიური ინტერვენციების დაგეგმვის პროცესში.

**ძირითადი საძიებო სიტყვები**: პიროვნული ნიშნები, გადაწყვეტილების მიღების სტილები, სარისკო ქცევა, მოზარდები.

# Abstract

Numerous individual and environmental factors influence engagement in risky behaviors. In recent years, an increasing number of studies have supported the hypothesis that personality traits and decision-making approaches have been identified as potential key factors influencing the likelihood of engaging in such behaviors. This paper explores how personality traits (as defined by the Big Five model) and decision-making styles (rational, intuitive, dependent, avoidant, and spontaneous) predict risky behaviors in adolescents. The study sample consisted of 120 adolescents aged 13 to 18. Standardized questionnaires were used to assess personality traits, decision-making styles, and risky behaviors were used. Correlational and regression analyses were conducted to analyze the data. The results revealed that agreeableness emerged as a reliable predictor of risky behavior—higher levels of agreeableness were associated with a lower likelihood of engaging in risky behavior among adolescents. Additionally, the dependent decision-making style was identified as a relatively weak but statistically significant predictor of risky behavior. No statistically significant relationships were found with the other variables. The findings are valuable for informing the development of psychological interventions aimed at preventing risky behaviors in adolescents.



**Keywords:** personality traits, decision-making styles, risky behavior, adolescents.

# მადლობა

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ თინათინ ჭინჭარაულს, რომლის აქტიური მონაწილეობა და თანადგომა პროცესის თითოეულ ეტაპზე იყო მნიშვნელოვანი და ღირებული. ის ყოველთვის მზად იყო ჩემს დასახმარებლად, დეტალურად და გასაგებად მპასუხობდა ყველა კითხვაზე, მაძლევდა მნიშვნელოვან რეკომენდაციებს. სწორედ მისი მხარდაჭერა იყო ჩემი ნაშრომის წარმატებით დასრულების მთავარი საწინდარი.

მინდა მადლობა გადავუხადო კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპონდენტს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, გამონახეს დრო/ენერგია და შეავსეს კითხვარი. რომ არა მათი ჩართულობა, შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და იმ შედეგების მიღება, რაც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა.